

შეფასების სისტემა

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით (გარდა სამაგისტრო ნაშრომისა). შეფასება ითვალისწინებს:

- ა) შუალედურ შეფასებებს (შუალედურ გამოცდას/გამოცდებს ან/და მიმდინარე სემესტრულ შეფასებას);
- ბ) დასკვნით შეფასებას.

15.4. დასკვნითი გამოცდის ხვედრითი წილი განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით

15.5. შეფასების სისტემა უშვებს:

15.5.1. ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

15.5.2 ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, ან მინიმუმ 51 ქულა დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის გარეშე, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედურ და დასკვნით შეფასებებში ლექტორი აწესებს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, Fx-ის მიღების შემთხვევაში სასწავლო უნივერსიტეტი ვალდებულია, დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ეს ვალდებულება არ ვრცელდება კვლევითი - სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის მიმართ.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება განიხილება დამოუკიდებლად.

დამატებითი გამოცდის შედეგი არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.